

შპს კოლეჯი ცხუმ ეგრისი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: სალაროს ოპერაციების განხორციელება
პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 2 3 4 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური : 10 მაქსიმალური: 15
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება და მინიმუმ 17 წელი
პროფესიული მომზადების პროგრამის- სალაროს ოპერაციების განხორციელება მიზანია, უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალის მოამზადება, რომელიც შეძლებს სალაროს პროცედურების განხორციელებას .

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ფულისა წარმოშობის, განვითარების ეტაპებისა და ყალბი ფულის წარმოშობის გარემოებების, მისი გავრცელების ტენდენციების აღწერა;
2. სხვადასხვა ემისიის ეროვნული და უცხოური ვალუტის ბანკნოტების, მათი ნამდვილობის დადგენის საშუალებებისა და მეთოდების დახასიათება;
3. სალაროს პროცედურების განხორციელების აღწერა ;
4. სალაროს გახსნა;
5. სალაროს ნაშთის კონტროლის განხორციელება;
6. სალაროს დახურვა;
7. ინკასაციის განხორციელება.
8. სავაჭრო ობიექტებში მომსახურების გაწევის თავისებურებების აღწერა;
9. სავაჭრო ობიექტებში მომსახურებისა და ანგარისწორების (ნაღდი, უნაღდო) განხორციელება;
10. სავაჭრო ობიექტებში კონტროლის მეთოდების აღწერა;
11. პროდუქციის კონტროლი.
12. ხარისხიანი მომსახურების მნიშვნელობის განმარტება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

1. შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის მიერ 2019 წლის 2 მაისის N 01-16 ბრძანებით დამტკიცებული საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე **სალაროს ოპერაციების განხორციელება** სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს საბაზო განათლება და არის მინიმუმ 17 წლის. სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს თეორიული ცოდნა / უნარები სალაროს ოპერაციების განხორციელების კუთხით. პროფესიული მომზადების პროგრამის მოცულობა 180 საათია.

პროგრამა განხორციელდება 12 კვირის განმავლობაში, კვირეული დატვირთვა : 15 საათი. პროგრამა განხორციელდება კოლეჯის A გარემოში და პრაქტიკის ობიექტზე.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება გამოკითხვითა და პრაქტიკული დავალების შესრულებისას პროცესზე დაკვირვებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით.